პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2024 წლის —— ივნისი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქალაქ ბათუმში, პ. მელიქიშვილის ქ. N6-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე სერგო მოსესოვის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. სერგო მოსესოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, პ. მელიქიშვილის ქუჩა N6-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მემორიალური დაფის განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ოჯახი.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, პ. მელიქიშვილის ქ. N6-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე სერგო მოსესოვის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

სერგო მოსესოვს დიდი წვლილი მიუძღვის არა მარტო აჭარის, არამედ საქართველოს მრეწველობის განვითარებაში. 1961 წლიდან მოსესოვი მუშაობდა ბათუმის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის დირექტორად. 1974-1992 წლამდე ხელმძღვანელობდა ბათუმის ხის დამამუშავებელ კომბინატს. მისი ძალისხმევით მოხდა საწარმოს გაფართოება, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, საუკეთესო მასალებით უზრუნველყოფა, რის შემდეგადაც საწარმო უშვებდა ისეთი მაღალი ხარისხის პროდუქციას, რომელმაც სახელი გაუთქვა რეგიონს საკავშირო მასშტაბით. ათეული წლების განმავლობაში საწარმო ითვლებოდა საუკეთესოდ მოსესოვის ხელმძღვანელობით. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟნრის წოდება. ამსათან ერთად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აჭარის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი წლების განმავლობაში იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, დაჯილდოებული იყო სხვადასხვა სიგელებითა და მედლებით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, პ. მელიქიშვილის ქ. N6-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს სერგო მოსესოვის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ოჯახი.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი არ გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

ლევან ცხოიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის
საკითხთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. ბათუმი

2024 წლის 22 მარტი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა შემდეგი საკითხები:

საკითხი 1. ბათუმში პ. მელიქიშვილის ქ. N6-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე სერგო მოსესოვის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

საკითხი 2. პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარის წერილი ბათუმის ავტოსადგურის ტერიტორიაზე ფუნქციონირებად მონუმენტთან დაკავშირებით;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დღის წესრიგით გათვალისწინებული მხოლოდ რიგით პირველი საკითხის (ბათუმში მელიქიშვილის ქ. N6 საცხოვრებელ სახლზე სერგო მოსესოვის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე) განხილვა საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: **ლევან ცხოიძე**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარეს ბატონ რამაზ ჯინჭარაძეს

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საინიციატივო ჯგუფის
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქუჩა № 6

განცხადება

ბატონო რამაზ,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქ. № 6-ში, 1958-2006 წლებში ცხოვრობდა ბათუმის წარჩინებული მოქალაქე სერგო მოსესოვი.

ს. მოსესოვი დაიბადა 1930 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტზე, 1957 წლიდან მოღვაწეობდა ქ. ბათუმში. მას დიდი წვლილი მიუძღვის არა მარტო აჭარის, არამედ საქართველოს მრეწველობის განვითარებაში. 1961 წლიდან ს. მოსესოვი მუშაობდა ბათუმის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის დირექტორად. 1964-1992 წწ. იგი ხელმძღვანელობდა ბათუმის ხის დამამუშავებელ კომბინატს, სწორედ ს. მოსესოვის ხელმძღვანელობის პერიოდში შეიძინა რესპუბლიკური დონის საწარმომ საკავშირო მნიშვნეპლობა. მისი ძალისხმევით მოხდა საწარმოს გაფართოება, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, საუკეთესო მასალებით უზრუნველყოფა. ამის შედეგად საწარმო უშვებდა ისეთი უმაღლესი ხარისხის პროდუქციას, რომელმაც სახელი გაუთქვა ჩვენს რეგიონს საკავშირო მასშტაბით. ათეული წლების განმავლობაში საწარმო ითვლებოდა საუკეთესოდ საბჭოთა კავშირში, ხოლო ს. მოსესოვი - საუკეთესი დირექტორად. მას მინიჭებული ქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება. ამასთან ერთად იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აჭარის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ს. მოსესოვი ათეული ნწლების მანძილზე იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებული იყო როგორც რესპუბლიკური, ასევე საკავშირო მნიშვნელობის სიგელებითა და მედლებით.

ბატონო რამაზ,

გთხოვთ განიხილოთ საკითხი ბათუმში მელიქიშვილის ქ. № 6-ში, ს. მოსესოვის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

საინიციატივო ჯგუფი:

1. [illegible] 61001003456
2. [illegible] 01006000642
3. [illegible] 61001027160
4. [illegible] 61001024632
5. [illegible] 61001012614
6. [illegible] 61001034724
7. [illegible] 61001011178
საკონტაქტო ტელეფონი: 598 262908 მზია ხოფერია
8. [illegible] 61001023852
9. [illegible] 61001011928

10. [illegible] [illegible] 61001006877 [illegible]

11. [illegible] [illegible] 61001003529 [illegible]

12. [illegible] [illegible] 61001059228 [illegible]

13. [illegible] [illegible] 61001033580 [illegible]

14. [illegible] [illegible] 61001086011 [illegible]

15. [illegible] [illegible] 61001086012 [illegible]

16. [illegible] [illegible] 61001009879 [illegible]

17. [illegible] [illegible] 61001009878 [illegible]

18. [illegible] [illegible] 61001020817 [illegible]

19. [illegible] [illegible] 61004007598 [illegible]

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

მოქ. მზია ხოფერიას
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქუჩა № 6

განცხადება

ბატონო არჩილ,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქ. № 6-ში, 1958-2006 წლებში ცხოვრობდა ბათუმის წარჩინებული მოქალაქე სერგო მოსესოვი.

ს. მოსესოვი დაიბადა 1930 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტზე, 1957 წლიდან მოღვაწეობდა ქ. ბათუმში. მას დიდი წვლილი მიუძღვის არა მარტო აჭარის, არამედ საქართველოს მრეწველობის განვითარებაში. 1961 წლიდან ს. მოსესოვი მუშაობდა ბათუმის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის დირექტორად. 1964-1992 წწ. იგი ხელმძღვანელობდა ბათუმის ხის დამამუშავებელ კომბინატს, სწორედ ს. მოსესოვის ხელმძღვანელობის პერიოდში შეიძინა რესპუბლიკური დონის საწარმომ საკავშირო მნიშვნელობა. მისი ძალისხმევით მოხდა საწარმოს გაფართოება, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, საუკეთესო მასალებით უზრუნველყოფა. ამის შედეგად საწარმო უშვებდა ისეთი უმაღლესი ხარისხის პროდუქციას, რომელმაც სახელი გაუთქვა ჩვენს რეგიონს საკავშირო მასშტაბით. ათეული წლების განმავლობაში საწარმო ითვლებოდა საუკეთესოდ საბჭოთა კავშირში, ხოლო ს. მოსესოვი - საუკეთესი დირექტორად. მას მინიჭებული ქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება. ამასთან ერთად იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აჭარის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ს. მოსესოვი ათეული წლების მანძილზე იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებული იყო როგორც რესპუბლიკური, ასევე საკავშირო მნიშვნელობის სიგელებითა და მედლებით.

ბატონო არჩილ,

გთხოვთ გვიშუამდგომლოთ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, რათა განხილული იქნას საკითხი ბათუმში მელიქიშვილის ქ. № 6-ში, ს. მოსესოვის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

საინიციატივო ჯგუფის სახელით

მზია ხოფერია

22.02.2024

საკონტაქტო ტელეფონი: 598 262908

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარეს ბატონ რამაზ ჯინჭარაძეს

ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩა № 6 მდებარე
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავჯდომარის

განცხადება

ბატონო რამაზ,

გაცნობებთ, რომ 2023 წლის სექტემბერში [illegible], ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა განცხადება, რომლითაც ვითხოვდით საკითხის განხილვას მელიქიშვილის ქ. № 6-ში მდებარე სახლის ფასადზე საქართველოს დამსახურებული ინჟინერის, ამავე სახლში მცხოვრები ს. მოსესოვის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

აღნიშნული განცხადების დამატებით გაცნობებთ, რომ მემორიალური დაფის დამზადების ხარჯს გაიღებს ს. მოსესოვის ოჯახი.

აქვე გაცნობებთ დაფაზე განსათავსებელ ტექსტს:

ამ სახლში ცხოვრობდა
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი
სერგო მოსესოვი

ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩა № 6 მდებარე
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავჯდომარე:

ხელმოწერა ----------

20.11.2023

საკონტაქტო: 577302610
ელ.ფოსტა: tamazi-nikolea@mail.ru

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია

წერილის ნომერი: **01-1424054237**
თარიღი: **23/02/2024**

ადრესატი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ასლი:
მისამართი: მელიქიშვილის ქ.6

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის უფროსს

ბატონ რაულ ბოლქვაძეს

ასლი: **ქალბატონ მზია ხოფერიას**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გეგზავნებათ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ფიზიკური პირის მზია ხოფერიას განცხადება (19/1424053498-14; 22.02.2024წ).

დანართი: „ 1“ ფურცელი პირველ ადრესატს

პატივისცემით,

ნუკრი დეკანაძე

ადმინისტრაცია-ადმინისტრაციის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი